№ 229 ოქტომბერი 28, კვირა 1890 ოქტომბერი 28, კვირა № 229


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჭრალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 ოქტომბერს,

ბენეფისი

ვ. ა. აბაშიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**მსხვერპლი უხასიათობისა**

დრამ. 4 მოქმედ. გად. მ. ნასიძისაგან.

II

**ადვოკატთან**

ვოდევ. 1 მოქ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, ავალიშვილისა, საფაროვისა, გერსულიძისა, ციციშვილისა, ტარიელოვისა: ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათიროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი 8 საათზე

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1890 წლის 4 ნოემბრიდგან ქალაქის საბჭოს დარბაზში, დილის 9 საათზედ, დაიწყება არჩევანი პირველის ხარისხის ხმოსნებისა მომავალ 1891—1894 წლისათვის. (3—1)

---

მამა დავითის ეკკლესიაში იგება საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით ცემენტის ტომეტის ფილაქანი (ხელოვნობითი მარმარილო), რის გამო ეცხადებათ ნათესავებს ეკკლესიაში დამარხულთა, რათა საფლავის ქვები შეუცვალონ მარმარილოს ფილაქნითა, და უკეთუ ამ მომავალ ნოემბრის 10-დინ არ გამოაცხადებენ სურვილს ზემო-ხსენებულის გადაკეთებისას, საფლავის ქვები აიღება და დაიგება ფილაქანი ტომეტისა მის მაგიერად.

მნათე მამადავითის ეკკლესიისა ვ. თეთრაძე

(3—3)

---

1891 წ.

**კიდლის**

ქართული კალენდარი

შედგენილი გრ. ხარჯვაანის მიერ

და

გამოცემული „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან“

იყიდება საკუთარს წიგნის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქ. ს. ზუბალოვისა).

ფასი 40 კაპ.

---

**დ. ი. კეზელი**

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—17)


---

ტფილისი, 27 ოქტომბერი

„ივერიის“ მე-215 ნომერში გვქონდა დაბეჭდილი ფრიად საყურადღებო წერილი მომავალ საქალაქო არჩევანების შესახებ ჩვენ დედაქალაქ ტფილისში. უეჭველია მკითხველი საზოგადოება ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდა წერილის შინაარსსა და საგონებელსაც ჩავარდებოდა. ავტორი წერილისა საფუძვლიანად უჩვენებდა, რა რთული და მძიმე მოვალეობა აკისრებინა უმაღლესმა კანონმდებელმა ქალაქის თვით-მმართველობას. სიმპატიური მხარე 1870 წლის 16 მკათათვეს დამტკიცებულის „საქალაქო დებულებისა“ ის არის, რომ კანონმა მოგვანიჭა, თქვენთვის თქვენვე იზრუნეთ და სხვის ხელში ყურებით თვალებს ნუღარ დაიბრეცავთო. მთავრობას ძალიან უძნელდებოდა თავისი უზენაესი უფლებანი თავისთვისავე საკუთარის ხელით შეეხუთა და შეეკვეცა; ვინ არ იცის, რა ძნელია საკუთრების დათმობა, მაგრამ „საქალაქო დებულების“ შემოღების დროს ისეთი სიო უბერავდა, რომ მთავრობამ გაბედა და თვისი უფლებანი ერს განუზიარა და ქალაქებს მიანიჭა თვით-მმართველობა. მართალია, ბევრი ნაკლულევანება აქვს ეხლანდელს „საქალაქო დებულებას“, მაგრამ სრული რა არის ქვეყანაზე?

მერე ვისარგებლეთ ახალის უფლებით? გამოვიყენეთ რაშიმე ახლად შეძენილი უფლება, ჩვენ მოქალაქობრივს ზრდას წინ მსვლელობა დაეტყო, ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა ცოტადაც არის უკეთესად შეიცვალა, მეტი უნარი და ხალისი გამოვიჩინეთ საზოგადო საქმეში? ამ საკითხავებზედ ზემოდ დასახელებულის წერილის ავტორი უნუგეშო პასუხს იძლევა. თექვსმეტი წელიწადია, რაც ტფილისში „საქალაქო დებულება“ შემოიღეს და ქალაქის ქართველობას თვით-მმართველობაში მარტო სამი, ოთხი წარმომადგენელი ჰყოლია, საქალაქო არჩევანებზედ სულ ოცს, ოც-და-ათს ქართველს კაცს უვლია; ჩვენ მეზობლებს, სომხებს-კი ასობით მიუღიათ მონაწილეობა ქალაქის საქმეებში და დღესაც ხომ ისინი განაგებენ რთულსა და მძიმე საქმეს ქალაქის მეურნეობისას. „მართალია, ამბობს სამართლიანის წყრომით ავტორი, ჩვენს მეზობლებს, სომხებს, აქვთ მიმადლებული ნიჭი ერთობისა და თაოსნობისა, მაგრამ მაინც სამწუხაროა, რომ ამაშიაც დაქვეითებულნი ვართ და აქაც სხვისი შემაყურებელნი ვრჩებით. ვითომ ჩვენ-კი ღმერთი გვიწყენს, რომ გონება გავივარჯიშოთ, თვალები ავახილოთ, საზოგადო საქმეს ჩვენც ერთგულად მოვეპყრათ, ჩვენც გამოვიჩინოთ ენერგია, თაოსნობა, ნიჭი ან ცოდნა!? ან იქნება ყველა ამისთვის არა გვცალიან, ან ყოველივე ესე წვრილმანია და ჩვენ-კი ამ წვრილმანებზე მაღლა ვდგევართ, არა ვკადრულობთ ამისთანა იწა-ბაწა საქმეში გარევას?! გულ-გრილობა და უთაურობა ხომ უბედურებაა ქართველებისათვის — ეს იმდენადვე ცხადია, რამდენადაც ის, რომ უკეთესი თვისებანი ბედნიერებაა ჩვენ მოძმე სომხობისთვის. რა მოვალენი არიან სომეხნი საქალაქო საქმეებში, იქ, სადაც ჩვენცა ვცხოვრებთ, მარტო იმათ იზრუნონ, იმათ იშრომონ და ჩვენ-კი გარეშე მაყურებლად ვიყვნეთ? ჩვენის აზრით, სირცხვილი არ იქნება, მივბაძოთ იმათ, მივიღოთ, შევითვისოთ იმათგან, რაც კარგი თვისება მოეძებნებათ. თუ ასე არ მოვიქცევით, უარესი სირცხვილი მოგველის და მაშინ ოხვრა და ვიში დაგვიანებული იქნება და ვეღარც თავსა და მუხლებში ცემა გვიშველის.“

დღეისწორს, ოთხს ნოემბერს მოხდება ამორჩევა პირველის ხარისხის ხმოსანთა, თერთმეტს ნოემბერს მეორე ხარისხისა და თვრამეტს მესამე ხარისხისა. წრეულს მაინც ვიქონიოთ იმედი, რომ საქალაქო არჩევანში, თუ პირველისა და მეორე ხარისხის ამომრჩევთაგანი არ იქნებიან, რადგან ქართველებში შეძლებული კაცი თითო-თითო საძებნელია, მესამე ხარისხის ამომრჩეველთაგანი მაინც მიიღებენ მხურვალე მონაწილეობასა და, როგორც აქამდის იყო, დღესაც აღარ მიანებებენ სხვას თავის ბედსა და უბედობას:

სამართალი მოითხოვს, კაცმა ისიც სთქვას, რომ მარტო ჩვენი დაუდევრობა და უთაურობა არ არის იმისი მიზეზი, რომ ხმოსანთა რიცხვში ქართველები განტი-გუნტად მოიპოვებიან. ამ სამწუხარო გარემოებას, ჩვენის აზრით, ერთი სხვა საგანი უწყობს ხელს. ეს საგანი გახლავთ თვით „საქალაქო დებულების“ ნაკლულევანება. საქმე იმაშია, რომ 1870 წ. „დებულების“ ძალით უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევანებში მარტო იმას, ვისაც რაიმე უძრავი ქონება აქვს ქალაქში. მაშასადამე მომეტებული ნაწილი ქალაქის ინტელიგენციისა როგორც მაგალ. მთავრობის მოხელენი, ლიტერატორნი, არტისტნი და სხვანი, მოკლებულნი არიან უფლებას, მიიღონ მონაწილეობა ქალაქის მართვა-გამგეობაში. „დებულების“ ასეთმა ნაკლმა ბევრი ცუდი შედეგი დაჰბადა. ხშირად ქალაქის ბედი და უბედობა განუვითარებელ კაცის ხელშია, და განათლებული-

---

# ფელეტონი

## სამეგრელოს მევენახობა

ქუთაისის გუბერნიას პირველი ადგილი უჭირავს კავკასიის სხვა გუბერნიათა შორის, როგორც ღვინის წარმოების რაოდენობით, ისე მევენახობით. მთელს კავკასიაში რომ 100 000 დესეტინა ვენახი ითვლება, თითქმის მესამედი ამ რიცხვისა ე. ი. 30,000 დესეტინა ქუთაისის გუბერნიაშია გაშენებული და უმეტესი ნაწილი ამ ვენახებისა (შეიძლება ითქვას 80%) მოთავსებულია ორს მაზრაში—შორაპნისა და ქუთაისისაში; დანარჩენი-კი მოდის რაჭა—ლეჩხუმსა, გურიასა და სამეგრელოზე.

რა არის იმის მიზეზი, რომ მევენახობას ბინა მარტო ორს მაზრაში უპოვნია და სხვაგან ასე ნაკლებად არის გავრცელებული. ნუ თუ სამეგრელო და გურია უვარგისი ადგილებია მევენახობისთვის? არა, მიზეზი ეს არ არის და სულ სხვა გარემოებაში იმალება.

ამ ორმოცის წლის წინად ქუთაისის გუბერნიაში პირველი ადგილი ღვინის წარმოებაში სამეგრელოსა და გურიას ეჭირა. მეგრელები და გურულები იმერულ ღვინოს დაცინვით „გიდლის ღვინოს“ *) ეძახდნენ და თითონ თავი მოსწონდათ „ოჯალეშის“, „კოლოშის“, „ჯანისა“ და სხვა ღვინოებით; ბედმა უღალატა მეგრელებსა და გურულებსა და დღეს იმ „გიდლის ღვინოში“ ფუთში 4 და 5 მანეთს აძლევენ და თითონ, უსიამოვნო „იზაბელის“ ღვინოს გარდა, აღარა მოსდით-რა.

1848 წ. საფრანგეთში პირველად შეამჩნიეს ნაცარი, რომელიც მოკლე ხანში მთელს ვენახებს მოედო და ანადგურებდა ყურძნის მოსავალს, არ გასულა ხუთი წელიწადი, რომ ამ სენმა ჩვენშიაც ამოჰყო თავი და მოედო ჩვენს ვენახებს. ჰფიქრობენ, რომ ნაცარი შემოჰყვა პირველად იზაბელასათ, რომელიც სამეგრელოში სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა შემოატანინაო.

სამეგრელოსა და გურიაში ნაცარმა უკეთესი ვითარება მოიპოვა თავის გავრცელებისათვის, ვიდრე საფრანგეთში ჰქონდა—აქაურმა სითბოსთან ერთად შეერთებულმა სინესტემ შეუწყო ხელი სენსა და სულ მოკლე ხანში ღვინის წარმოებამ სამეგრელოში ორ მესამედად იკლო და დღეს ხომ იშვიათად შეხვდებით ნამდვილს მეგრულს ღვინოს.

იმერეთში, სადაც უფრო ნაკლები სინესტეა და სადაც ხშირად ძლიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქრის, ვერ მოიკიდა ამ სენმა ფეხი; თუ არ წვიმიანს წელიწადში, ნაცარი აქაურს ვენახებს ბევრს ვერას აკლებს და ეს არის იმისი მიზეზი, რომ დღეს იმერეთში უფრო მევენახობას მისდევენ და სარგებლობასაც დიდს ჰხედავენ. სამეგრელოში-კი თითქმის ძირეულად მოისპო მევენახობა.

ამ უკანასკნელს ხანებში სამეგრელოში, ისე როგორც გურიაშიც, აქაიქა სცადეს დაბლარის ვენახის გაშენება, მაგრამ უმეტეს ნაწილად ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა, რადგანაც არავინ შეიწუხა თავი, რომ მიელო საშუალება იმის წინააღმდეგ, რამაც ძირეულად მოსპო მევენახობა სამეგრელოში, ე. ი, არავინ უწამლა ახალშენს ვენახებს გოგირდით, რომელიც, როგორც ცნობილია, სრულიად სპობს ნაცარს. მხოლოდ ერთმა კაცმა მოჰკიდა ხელი საქმეს რიგიანად და კიდევაც გაიმარჯვა. ეს კაცი გახლავთ პრინც მურატი, რომელმაც შარშან მარტში მოატანინა სეირისა და კვალათის საუკეთესო ძირეული ვაზები ს. ჩკადუაში, მიწა კარგა მოამზადა და გააშენა თითქმის ორი დღის დაბლარი ვენახი. რასაკვირველია გაშენებისათანავე მიიღო ღონისძიებაც ნაცრისა და მილდიუს წინააღმდეგ და ეხლა, ოქტომბერში, რომ მიბძანდეთ ამ ვენახში, ჰნახავთ, რომ ვაზს მშვენიერად უხარია, ლერწი ლონიერი და საღი გაუკეთებია და წამლობას ისე კარგად უმოქმედნია, რომ ფოთოლი იმისთანა მდგომარეობაშია, როგორც სხვა ვენახებში მაისში არ იქნება. ამავე დროს სხვა უწამლი ვენახი რომ ნახოთ, მაღლარი თუ დაბლარი, იზაბელა თუ ჩვენებური, ადვილად შეამჩნევთ, რომ ლერწს ზრდა არა აქვს, დაუსრულებელია და ნაცრისაგან შავად არის გარუჯული და ფოთლისა ხომ ხსენებაც აღარსად არის.

ყველა ეს ცდა იყო, ხოლო რა-კი დარწმუნდა ზემოხსენებული მემამულე, რომ სამეგრელოშიაც შესაძლებელი ყოფილა ვენახების გაშენება, ეხლა განზრახვა აქვს, უფრო მხნედ მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, ამავე ს. ჩკადუაში აპირობს გაშენებას კიდევ 20 დღიურ ვენახისას და ამას გარდა განზრახვა აქვს, გაახლოს ანუ კვლავ ახარიოს ის ვაზი, რომელიც შესანიშნავს ოჯალეშის ღვინოს იძლეოდა.

ფილოქსერა უკანასკნელს ხანებში ძლიერ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და მისთვის, რომ ამ მწერის შემოსევისთვის მუდამ მზად იყოს, პრინც მურატი მომავალ გაზაფხულიდგან აპირობს ამერიკულის ყურძნის თესლის დათესვას; ამ ღონით ამ ვაზის გაშენებასა და შემდეგ ამავე ვაზზე ჩვენებურის ვაზის დამყნას.

ეჭვი არ არის, ყოველივე ეს უნა-

---

*) „გიდელს“ იმერეთში ეძახიან შაქრის თავის ანუ კონუსის მსგავსად მოწნულს კალათს, რომლითაც ყურძნის მკრეფელი აღის მაღლარის ხეზე, ყურძნით ავსებს და თოკით ძირს უშვებს.

კი, რომელსაც უფრო სამართლიანად და გონივრულად შეუძლიან განაგოს ქალაქის საქმე, მშრალზეა დარჩენილი. მაშასადამე ჩვენს ქალაქებში განათლებული ქართველი, კანონის ძალით, მონაწილეობას ვერ მიიღებს ქალაქის საქმეებში და გაუნათლებელნი-კი, როგორც მაგალითებრ, ხელოსანნი და მეწვრილმანენი რას გაბედავენ, რადგან ისინი ეკონომიურად დამოკიდებულნი არიან მდიდარ ვაჭარ-სოვდაგართაგან, და როგორც ყურ-მოჭრილი ყმანი, იმათ წინააღმდეგ კრინტსაც ვერ დასძრავენ.

1870 წლის „საქალაქო დებულების“ ასეთმა ნაკლმა შესაფერი ნაყოფი მოიტანა შიდა რუსეთში და დიდი ხანიც არის მას აქეთ, რაც უკეთესი მწერლობა ურჩევდა, მთავრობას ამ ნაკლულევანების შევსებას. დღეს, როგორც გვატყობინებენ რუსული გაზეთები, შინაგან საქმეთა სამინისტრო აგროვებს საჭირო ცნობებსა და ჰსურს, იმ გვარად შესცვალოს „საქალაქო დებულება“, რომ არჩევანების უფლება ჰქონდეს მარტო უძრავის ქონების პატრონს-კი არა, არამედ იმათაც, ვინც ქალაქ აღაგას გადაწყვეტილს სახლის ქირას იხდის. ამასთანავე ამომრჩევის განათლებაც უნდა იყვეს მიღებული მხედველობაში.

ვისურვებთ, რომ მთავრობას მალე შემოეღოს ეს საჭირო ცვლილება. იქნება მაშინ მაინც ეშველოს რამე ჩვენს დაქვეითებულს ქალაქის ქართველობას.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ამ თვის 26 ტფილისიდგან გაემგზავრა პეტერბურგს ობერ გოფმარშალი მის იმპერატორებითის უდიდებულესობის სასახლისა თავ. ტრუბეცკოი.

*** ტფილისის ნიკოლოზის სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების თავმჯდომარედ ამოარჩიეს ბ-ნი ბაბაევი, მის ამხანაგად ბ-ნი ა. ტერ-ასატუროვი, მდივნად ბ-ნი ჩიმიშკიანი და ხაზინადრად დეკანოზი მაჭარაშვილი.

*** გუშინ-წინ, ამ თვის 26, საღამოზე, ჩუღურეთში წყალში ჩავარდა ვიღაც ქალი, როგორც შემდეგ შეიტყეს, პოლიციის მოხელეს მეუღლე ალაბეგოვისა, მაგრამ უკანასკნელის წყალში ჩავარდნა მალე შეამჩნიეს და დროზედ ამოათრიეს. რა იყო მიზეზი ამ ქალის მიერ თავის თავის ასე გამეტებისა, ეს ჯერ არავინ არ იცის.

*** ინგლისის არზრუმელი ელჩი ბ-ნი ლოიდი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტევი სასახლეში გადავა დეკემბრის დამდეგს. მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ ლეიტენანტ გრაფ ტატიშჩევის ტფილისში მოსვლას მოელიან დეკემბრის გასულს.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ, როგორც შევიტყეთ, გაათავა საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების განხილვა. სულ წარმოდგენილი იყო სამი პიესა: ონეტარასელისაგან, ქ—ნისაგან და როსტომაშვილისაგან. პირველის პიესა თუმცა ნიჭიერად არის დაწერილი, მმართველობამ მაინც ვერ იცნო ჯილდოს ღირსად, ზოგიერთ შესამჩნევ ნაკლულევანების გამო. მეორე პიესა მმართველობამ იცნო უვარგისად. მესამე წარმოდგენილი იყო გამოცხადებულ ვადას შემდეგ, ე. ი. 1 ღვინობისთვის მაგიერ—25 ღვინობისთვეს, და ამიტომაც ის სრულიად არ იყო განხილული. ამ გვარად მმართველობამ არც ერთს პიესას პრემია არ დაუნიშნა და საპრემიო პიესების გამოსაგზავნად დანიშნა ახალი ვადა 1 ენკენისთვე მომავალის წლისა. პირობები თითქმის იგივე დარჩა, რაც იყო ადრე. ამის შესახებ პირობები ცალკე იქნება მმართველობისაგან გამოცხადებული ჩვენს გაზეთში.

პიესების კითხვასა და განხილვაზე მმართველობის წევრთ გარდა დაესწრნენ თ. რაფ. ერისთავი, თ. ილ. ჭავჭავაძე და პ. უმიკაშვილი.

*** სამშაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულს თეატრში საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული ამ დასის გამგესი და რეჟისორის ბ-ნის ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ. წარმოსადგენად დანიშნულია ახალი პიესა, მ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული რუსულიდგან, „მსხვერპლი უხასიათობისა“ და ერთმოქმედებიანი საუცხოვო ვოდევილი „ადვოკატთან“. ბ-ნ აბაშიძის ბენეფისს თითქმის ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი ესწრება და ამ ხელადაც, რალა თქმა უნდა ასევე იქნება. მით უმეტეს, რომ ახალი პიესა უნდა წარმოადგინონ. მონაწილეობას ყველა საუკეთესო არტისტი იღებს. ამას გარდა, როგორც შევიტყეთ, ბ-ნს აბაშიძეს მიუწვევია ნიჭიერი არტისტი რუსულის საოპერეტო დასისა, ბ-ნი დ. თუმანოვი, ორის თვეით ქართულს წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის მოსაზრება მართლდება იმის შესახებ, რომ ნიხრის (ტაქსის) გაუქმება გააიაფებს ხორცსა და პურსაო. ჯერ თვეც არ გაუვლია ნიხრის გაუქმებას შემდეგ და მართლა ფასები მოაკლდა. ამ ჟამად ძროხისა და ცხვრის ხორცი პირველი ხარისხისა გირვანქა ექვსი კაპეიკია, როდესაც შევაჰრებით ყიდულობენ. შეუვაჰრებლად შვიდი კაპეიკია. ავლაბრის მეიდანზე ხუთ კაპეიკადაც იშოვება. ამ თვეში ცხვრის ხორცი ქუჩა-მეიდნებზე ხონჩებით დააქვთ და შევაჰრებით იყიდება ექვს კაპეიკად. პურსაც დააკლეს პირველად გამოცხადებულს ფასებზე და თან-და თან კიდევ კლებულობს.

*** „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ამ ერთის წლის განმავლობაში მთელს რუსეთის იმპერიაში განზანაკით შეკრებილა სულ 21,734 8¼ კაპ. პეტერბურგსა და მოსკოვში შეკრებილია 3,154 მან. 21 კაპ. ხოლო დანარჩენი-კი სხვაგან.

*** ტფილისში მოვიდა ამბავი, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის შეგირდად ნამყოფი იოსებ ლალაშვილი, რომელსაც 20 წლით კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი და გაგზავნილი იყო სახალინის კუნძულზე სემინარიის რექტორის დეკანოზის პაველ ჩუდეცკის მოკვლისათვის, გაქცეულა ნავითაო, მიუღწევია ერთს უცხო ქვეყნის გემამდე და ამ გემით გადასულა ამერიკაშიო. დაბეჯითებით-კი არავინ არ იცის, რამდენად მართალია ეს ამბავი.

*** 26 ოქტომბერს პირველ განყოფილების მომრიგებელს სასამართლოში დანიშნული იყო განხილვა ბებია ქალის ლევკოვიჩისა და საბებო ინსტიტუტის შეგირდის ქალის სელიხის საქმისა. ორივეს დაჰბრალდათ, რომ გაუფრთხილებლობით სიცოცხლეს გამოასალმეს ანასტასია ფუცი, რადგან მელოგინედ დახაწოლს დედაკაცს საფაღარათო წამლად გაუკეთეს ზეთის მაგიერ კარბოლის სიმჟავე, რომელმაც ანასტასია მოსწამლა და თან გადიტანა. ქმარი გარდაცვალებულისა უჩიოდა სამოქალაქო წესით ინსტიტუტის დირექტორს მკურნალს არტემიევსა და მშობიარეთა განყოფილების გამგეს მკურნალს კრუზენშტერს 2,400 მან. ცოლის სიკვდილის გამო ზარალი მომეცა, მცირე-წლოვანი ბავშვები დამრჩა და იმათი პატრონი აღარავინა მყავსო, თუ ფული არ მეცეო და არავინ დაიჭირეო. ეს საქმე მომრიგებელმა მოსამართლემ არ განიხილა, რადგან საქმის ვითარების გამო, იმისი განსახილველი არ იყო და გადასწყვიტა: გადასცეს პროკურორს და იმან მისცეს ამ საქმეს კანონიერი მსვლელობაო.

*** 4 ნოემბერს, კვირას, დილის 12 საათზედ ტფილისის სობრანიაში დანიშნულია კონცერტი მცირე წლოვანის, 6 წლის ყმაწვილის რაულ კოჩალსკისა პატარა ბავშვებისათვის. ბილეთების ფასი დაკლებულია. ბილეთის ფასი არ გამოერთმევა იმათ, ვინც პატარა ყმაწვილების ყურის მგდებლად დაესწრება კონცერტს.

*** „ვაზ. Новор. Телеграфъ“-ი ამბობს, რომ გემი „Орелъ“-ი წავიდა ბათუმს, რომ გადაიყვანოს ოსმალეთში ის მოუსვენარნი მთიულნი კავკასიისა, რომლითაც არ უნდათ თავიანთ მთებში ყოფნაო. გადასაყვანია სულ 10 000 კაცამდეო. გემი ამათ გადაყვანას მოუნდება თითქმის ერთს თვესაო და თითოს გადაყვანაში აიღებს 3 მან. 25 კაპ.

*** ამ თვის 26, საღამოს ცხრა ნახევარზე, კრუჟოკში ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა ქალების მოსართავ ოთახის შპალიერი, სარკე, ტუალეტი, ხალიჩა, იატაკი და ტახტი. ზარალი სულ 300 მანათამდეა. ცეცხლი შინაურულად ჩააქრეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი, 2 ოქტომბერს. სვანეთი, როგორც მოგეხსენებათ, ერთი საკმაოდ მოზრდილი კუთხეა ლეჩხუმის მაზრისა. ეს ნაწილი გეოგრაფიულის მხრით მეტად მთა-გორიანი ალაგია და ძნელად მისადგომი, მაგრამ არც ისე მიუდგომელია, როგორც ზოგიერთსა ჰგონია. ამის მუხედველად ეს მხარე მკვიდრითურთ თითქმის ყველასაგან დავიწყებულია და ობლად აგდებული. ვისაც-კი დაუვლია სვანეთი და დაჰკვირვებია იმის ცხოვრებას, გონებრივსა და ზნეობრივს ვითარებას, ცხადად დაინახავდა იმ სამწუხარო სურათს, რომ ამ ხალხს მეცხრამეტე საუკუნის ცივილიზაციის სუნიც არა სცემია და უმეტესი ნაწილი სვანებისა მხოლოდ აგებულებით თუ წარმოგვიდგენენ, რომ ისინიც კაცთა ნათესაობას ეკუთვნიან, თორემ დანარჩენის მხრით ბევრით ვერაფრით. ეს ხალხი თავის ზნე-ჩვეულებით, ჭკუა-გონებითა და თვისის ცხოვრების წესწყობილებით წინაპართა ცხოვრებას არაფრით გასცილებია. რასაკვირველია, ამის მთავარი მიზეზი იმათვეთვე ისა ყოფილა და დღესაც იგივეა, რომ თვითვე არა ჰზრუნავენ თავიანთ უმეცრებისა და გონებრივის სიბნელის წყვდიადის განბნევას. ამასთან არც ჭირისუფალი და მკეთე აღმოსჩენია ვინმე ისეთი, რომ ამ ხალხის გამოფხიზლებისა და ადამიანურს გზაზედ დაყენებისათვის თავი შეეტკიებინა. მნახველი გაკვირვებაში მოჰყავს იმ გარემოებას, რომ ამდენს ხალხში, ასე საკმაოდ მოზრდილს კუთხეში, ერთს სასწავლებელსაც ვერა ჰხედავს, რომ სვანების მომავალმა ახალმა-თაობამ წერა-კითხვა და ცოტაოდენი სწავლა მაინც შეიძინოს და ამის მეოხებით ერთი ნაბიჯი მაინც გადმოაბიჯოს წინ თავიანთ მამა-პაპათა ცხოვრების წრედგან. ოცი, თუ მეტი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში სახალხო სკოლები დაარსდა, თითქმის ყველა სამამასახლისოსა აქვს თავისი სკოლა, რომელიც ცოტა სამსახურს მაინც უწევს ხალხში სწავლის გავრცელების საქმეს, მაგრამ სვანები ამ მხრივაც უკან ჩამორჩნენ სხვებს.

უნდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო მოვლენა, რომ, როგორც სჩანს, სვანების ამ გვარს უნუგეშო მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს: უმაღლესს მთავრობას უნებებია, რომ თავისუფალ სვანეთის ერთს სოფელში, სახელდობრ მულახში, დაარსდეს სახელმწიფოს ხარჯით ერთ-კლასიანი სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით. ამ საგანზედ კიდეც ბრძანდებოდნენ ზემოხსენებულს საზოგადოებაში წარსულ აგვისტოს თვის პირველს რიცხვებში საერო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი გროზდოვი და მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია. სასკოლო შენობის აგება გეგმისამებრ უკისრნია საზოგადოებას თავისის ხარჯით. სანამ შენობას დაამთავრებდეს სოფელი, სკოლა დროებით უნდა მოთავსდეს სასოფლო სასამართლოს სადგურში. სწავლება უნდა დაწყებულიყო მომავალის წლის პირველს იანვარს, მაგრამ რადგანაც სასკოლო ავეჯეულობა ჯერ-ჯერობით არაფერია მომზადებული, ამისათვის ბ-ნს ინსპექტორს გადაუდვია სკოლის გამართვა და სწავლების დაწყება მომავალ ივლისის თვის პირველ რიცხვისათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ, როგორც ხმა ისმის, ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას განზრახვა აქვს თავის ხარჯით ორი სკოლა გახსნას თავისუფალს სვანეთში, და მასთან იმ გარემოებასაც, რომ თავადი დადიშქელიანი, რომელიც რუსეთში სცხოვრებს, სწირავს კარგა ძალს ფულს თავის სამშობლო კუთხეში სწავლის მოფენის საქმეს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სვანებსაც უდგებათ განთიადის ჟამი და ულიმდებათ ბედი. საბატონო სვანეთის ერთ საზოგადოებასაც, სახელდობრ ლაშხეთისას, მაზრის უფროსის რჩევით, გადაუწყვეტია სასოფლო სკოლის დაარსება. იმედია, ამ მა-

---

ყოფოდ არ ჩაივლის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ცდა პრინც მურატსაც დიდს სარგებლობას მოუტანს და აქაურს მცხოვრებლებსაც დაარწმუნებს, რომ შეუძლებელი საქმე არ არის სამეგრელოში კვლავ გაძლიერდეს მევენახობა და ეს რომ ასე იქნება, იქიდგან ჩანს, რომ ეხლაც ხშირად მიჰყავთ პრინცთან ადგილობრივს მცხოვრებლებს თავის შვილები და სთხოვენ ასწავლონ ვენახის გაშენება და მისი მოვლა.

სასურველია, რომ სხვა დიდმა მემამულეებმაც მიჰბაძონ ამ მაგალითსა და შეუდგნენ სამეგრელოში დროებით მოსპობილ მევენახობის აღორძინებას.

—

შესადარებლად მეტად არ მიგვაჩნია გავუზიაროთ მკითხველს ის, რაც ვნახეთ სხვა დიდის მემამულის ვენახშიაც. ჩვენ მოგახსენებთ თ. ე. დადიანის ვენახის შესახებ სამურზაყანოშოს ს. ფახულანში.

ამ სოფელში თ. დადიანს აქვს სამოცი ქცევა მაღლარი ვენახი, რომელიც წინად, როცა სამეგრელოში ღვინო მოდიოდა, შესანიშნავს კოლოშის ღვინოს იძლეოდა. ეხლა ამ ვენახში ნაცრით შეფოფქილის მტევნების მეტი აღარა არის-რა. ნიადაგი და მისი მდებარეობა იმდენად კარგია ამ მამულში, რომ ნაცარს ველარ გაუხშია ვაზი და ამიტომ ყოველ წელიწადს უხვად ისხამს ყურძენს, რომელიც საუბედუროდ სულ ერთიანად ფუჭდება, ფუჭდება იმდენად, რომ შარშან სულ სამი ბოთლი ღვინო მოსულა სამოც ქცევაში, ხოლო წრეულს წვეთიც არ მოსულა.

ვინც იცის, რა ადვილი და იაფად გადასარჩენია ნაცრისაგან ვენახი, ამ ვენახის ნახვაზე სწორედ გული ეტკინება მით, რომ ამოდენი ყურძენი სულ ტყუილ-უბრალოდ ფუჭდება.

—

იქნება ზოგიერთს ეჭვი დაებადოს და სთქვას, რომ მაღლარის წამლობა შეუძლებელიაო. ჩვენ ეს საქმე შეუძლებლად არ მიგვაჩნია, თუმცა უფრო ძნელი-კი გვგონია, ვიდრე დაბლარის წამლობაა.

ჩვენ დავეკითხეთ სოფ. ფახულანის მცხოვრებლებს, შესაძლებელი იქნება თუ არა მოხერხდეს ისე, რომ ხეზე კაცი ავიდეს და ისე გამაგრდეს, რომ ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდეს მაშინის ხმარებისათვისაო. პასუხად მოგვიგეს, რომ, ოღონდ წამლობას გვასწავლიდეს ვინმე, თორემ ეგ ადვილი საქმეაო. თუ ხიდგან წამლობა ვერ მოხერხდა, მაშინ კაცმა უნდა მიჰმართოს მაღალს ორ-ფეხა კიბეს, რომელიც ახლო დაიდგას ხესთან და კიბიდგან უწამლოს, როგორც ნაცარს, ეგრეთვე მილდიუს. ერთის სიტყვით, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ, თუ სურვილი იქმნა, შესაძლებელი შეიქნება მაღლარის წამლობაც.

წრეულს დ. ხონის მახლობლად სცადეს მაღლარის წამლობა, და ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა—მოსავალი სრული მოვიდა. ამის შესახებ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნ შარაბანიძისა, რომელიც მოგვითხრობდა, როგორც მიხდა წამლობა რა დაიხარჯა და რა შედეგი მოჰყვა წამლობას.

ვ. ყ—ნი.

გალითს დანარჩენი საზოგადოებანიც მიხედავენ და ამ ნაირად ამ მივიწყებულს მხარეშიაც ცოტა ხანს შემდეგ განათლების ტაძრის საძირკველი ჩაიყრება და დიდის ხნის მშიერი ახალი თაობა მწყურვალედ დაეწაფება განათლების ნექტარს.

სოფელ ცაგერიდგან მაზრის სამმართველოს ისევ ლაილაში გადმოტანა ეხლა უფრო შესაძლებლად მიაჩნია აქაურ შეგნებულს ნაწილს საზოგადოებისას, მით უმეტეს, რომ ამ საგანზე თვით საგუბერნიო მთავრობამ დაინახა საჭიროდ, აღძრა საქმე: გუბერნატორის მინდობილებით მობრძანდა ლეჩხუმში ბ-ნი მალევსკი. ადგილობრივ დაათვალიერა და გამოიკვლია ყოველივე ღირსება თუ ნაკლულევანება ორივე ადგილისა. ამ მოხელეს ბევრად უკეთესად უცვნია ლაილაში და კიდეც წარუდგენია თავისი აზრი ბ-ნ გუბერნატორისათვის. გუბერნატორს მოუხდენია ამ საგანზედ რჩევა და რჩევას ყოველის მხრით საუმჯობესოდ უცვნია ლაილაში გადმოტანა. გუბერნატორის განკარგულებით, ეს რამდენიმე კვირაა, ლაილაშია ადგილების მზომავი და გეგმის ამღები მოხელე, ჰზომავს და ჰხატავს მიწებს. ვაჭარი ხალხი ხომ აღარას იშურებს თავის ღარიბის ჯიბიდგან. სასამართლოსა და პოლიციისათვის საჭირო შენობის აგება ხომ, როგორც ვიცით, იკისრეს და ფასიც ძლიერ დაუკლეს: თორმეტის წლის ვადით ორივე შენობა დაუთმეს მთავრობას წელიწადში ოთხას მანეთად. ფოჩტისათვის საჭირო სახლსაც სამს წელიწადს უქიროდ უთმობენ. მთავრობამ წინად მოსთხოვა ვაჭარს ხალხს პირობა პირ-ნათლად შეესრულებინათ და იმათაც დაუყოვნებლივ წარადგინეს სამი ათასი მანეთი. საქმე ახლა იმაზეა მიმდგარი, სამეგრელოს თავადი დათანხმდება თუ არა, რომ მის კუთვნილს ადგილზედ აშენდეს სასამართლოებისათვის საჭირო შენობა. თუმცა ძნელად დასაჯერებელია, რომ სამეგრელოს თავადი წინ აღუდგეს ამ საქმეს, რადგან შემოსავალი უფრო მეტი ექნება, ვიდრე ეხლა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ აღმოჩენილან ისეთი კაცები, რომლებიც სცდილობენ სამეგრელოს თავადს ნება არ მიაცემინონ შენობის აგებისა და გვარად ამ კეთილს საქმეს წინ ხარიხად გადაეღობნენ.

ქაიხოსრო გელოვანი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენთა დედათა საყურადღებოდ მოგვყავს, „Новое Время“ს სიტყვით, ერთ ინგლისურს ჟურნალში დაბეჭდილი იმის ამბავი, თუ როგორ ეცადნენ ამერიკის შტატ უაიომინგში ქალებისა და კაცების გაერთუფლებას.

ეს შტატი დაფუძნდა 1868 წ. 1869 წელს ვაშინგტონიდგან ამ ადგილას გაგზავნილ იქმნენ საჭირო მოხელენი და შტატმა, რომელშიაც სულ 5,000 მკვიდრი იყო, თავის კანონმდებელი კრება ამოირჩია. ეს კრება დაუყოვნებლივ შეუდგა საქმესა და პირველსავე სესიაზედ რომელდამაც პროგრესტიტმა წინადადება შეიტანა, რომ დავადგინოთ:

1) ყოველს დედაკაცს, ჩვენს შტატში მცხოვრებს, როცა თვრამეტის წლისა შესრულდება, აწ მოქმედ კანონების თანახმად, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევანებში და არჩეულ იქმნას კიდეც რომელსამე თანამდებობაზე.

2) ეს დადგენილება ძალაში შევა გამოცხადებისათანაო.

კარგა ხნის მოლაპარაკებასა და გამათს შემდეგ ეს კანონი დამტკიცებულ იქმნა იმ განსხვავებით, რომ თვრამეტის წლის მაგიერ ოც და ერთი წელი დაიდო ვადად, როცა ქალებს არჩევანებში მონაწილეობის ნება უნდა მიეცეთ.

ერთი ამ ახალის კანონის მოწინააღმდეგეთაგანი იმ აზრისა იყო, რომ ოც-და-ათი წელი დავნიშნოთ, მაშინ ეგ კანონი არავითარს მნიშვნელობას არ იქონიებს და აღარც ერთი დედაკაცი არ მიიღებს არჩევანებში მონაწილეობას, რადგან თავ-მოწონებისა გამო არ იტყვის რომ ოც-და-ათი წელიწადი შემისრულდაო.

როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, პირველში ამ აღაგას თავი მოიყარეს სხვა-და-სხვა სარჯებლობის მძებნელმა ვიგინდარებმა, ასე რომ ბევრს წვეულში სულ მცირე იყო რჩეული. ცოტად თუ ბევრად რიგიანი ქალები ხომ ძნელად სანახავი იყო. ამისდა მიუხედველად კანონმდებელმა კრებამ ქალებსაც ნება მისცა არჩევანში მონაწილეობის მიღებისა და ამ ნების მიცემას უმთავრესად იმან შეუწყო ხელი, რომ ეს ახალი კანონი სხვა ხალხსაც მოიზიდავს ამ შტატისკენ გადმოსასახლებლადაო. ეს მოლოდინი გაუმართლდათ კიდეც და დეპეშამ გაავრცელა თუ არა ეს ამბავი ევროპასა და ამერიკაში, უაიომინგის საქმე საკეთილოდ წარიმართართა: დღითი-დღე მრავლდებოდა ამ შტატის მკვიდრთა რიცხვი. პირველში ქალები ნაფიც მსაჯულებად იქმნენ ამორჩეულნი და სასამართლოს კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად.

ქალები დიდის გულ-მოდგინებით მოეკიდნენ თავის ახალს თანამდებობას. კომისიაში მონაწილეობის დროს მტკიცედ ადგნენ იმ აზრს, რომ კანონი სასტიკად უნდა დავიცვათო, ის კანონი, რომელიც სპირტეულობის გაჭრობას ჰზღუდავს და ხელს უშლისო, უნდა მოისპოს აგრეთვე ფულზედ ქაღალდის თამაშობა და კვირა დღეობით გაჭრობა უნდა აღიკრძალოსო. თუმცა მამაკაცებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ ეს აზრი ქალებისა. პირველად, როცა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს განსამართლებაში და ნაფიც მსაჯულებად იყვნენ, დედათა მამაკაცებთან გაერთუფლების მოწინააღმდეგნი წინასწარმეტყველებდნენ, რომ სუსტი ქალები ჭეშმარიტებას გადასცდებიან და სასტიკად არავის დასჯიან, მით უმეტეს, რომ ბრალდებული ლამაზის შეხედულობის ყმაწვილი კაცი, სწორედ ბაირონსა ჰგავსო. ვგონებთ, თვით ბრალდებულსაც იმედი ჰქონდა ცოტა ამ გარემოებისა, მაგრამ ამაოდ. ნაფიც მსაჯულებმა, რომელთა რიცხვში ექვსი ქალი იყო, სულ მცირე ხანს ითათბირეს და ჩქარა გადასწყვიტეს, რომ ბრალეული დამნაშავეა და სასჯელის ღირსიაო. მამაკაცების სიტყვით, დიდი უგულობა გამოიჩინეს თურმე ქალებმა ხალხის განსამართლების საქმეში. თუ დედაკაცი მიჰხვდა, რომ დამნაშავე მართლა ბრალეულიაო, სასჯელის შემსუბუქებისას ნუღარას გაახსენებ: პატიება არა სწამს.

დიაღ, ასე სამართლიანად, უნარიანად იქცეოდნენ ქალები, მაგრამ ავყია გაზეთებმა მაინც არ დაჰზოგეს და ბევრჯელ მოიხმარეს დაცინვის სუსხი მათდა ასაგდებად და დასაცინად. მაგალითად, ლეგენდა დადიოდა, რომ

უაიომინგში ქალებს აღარ ირჩევენ ნაფიც მსაჯულებად, რადგან ერთმა ცოლიანმა კაცმა საჩივარი შეიტანა: მანამ ჩემი ცოლი იქ თერთმეტ კაცთან არის მასლაათში გართული, ყმაწვილის მოვლა-პატრონობა და ძიძაობა მე მჭირდებაო. ამას გარდა იმასაც ამბობდნენ, ქალები იმიტომაც არ კარგანან ნაფიც მსაჯულებად, რომ იმათ მსაჯულობის დროს საბრალმდებლო ოქმში ზოგიერთი ქალის ყურისათვის სახამუშებელი წვრილმანი ვერ ჩამოგვითვლია, ვერ აღგვინიშნავსო. ამიტომაც ნაფიც მსაჯულებად ისევ მამაკაცებს ირჩევდნენ.

1871 წელს უაიომინგმა მეორე საკანონმდებლო კრება ამოირჩია და ამორჩევისათანავე წინადადება შეიტანეს, რომ გავაუქმოდ ის კანონი, რომელიც ქალებს მამაკაცებისთანა უფლება'ს ანიჭებსო. ეს წინადადება

ორივე პალატამ დაამტკიცა, მაგრამ თავმჯდომარემ ხელი არ მოაწერა და უარის თქმით უკანვე დააბრუნა. ამასთანავე ნაჩვენები იყო ყოველივე მიზეზი წვლილად, რადაც არ უნდოდა კანონის დამტკიცება. თავმჯდომარე სხვათა შორის სწერდა, რომ მაგ კანონის გაუქმება ეწინააღმდეგება ჩვენის ქვეყნის კანონმდებლობასაო. თუ კანონი დედაკაცებს ნებას აძლევს, რომ დაქვრივებისას თითონვე გაუხდნენ თავისს ობლებს მზრუნველებად, განა უსამართლობა არ იქნება, რომ იმავ ქალებს უფლება წავართვათ იმისთანა საქმეებში გარევისა, როგორიც სკოლაა, იმავ ბავშვების აღსაზრდელი ადგილი; თუ დედაკაცს უფლება აქვს მამულები იყიდოს, რატომ იმის უფლება-კი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ მამულების დაბეგვრის საქმეში მსაჯულობა იქონიოსო.

რაკი თავმჯდომარემ უარი სთქვა, ამ კანონს ორი მესამედი კენჭისა უნდა რგებოდა, სულ უკანასკნელი, რომ თავი გაეტანა. კანონი უარ-ყოფილ იქმნა და საპოლიტიკო უფლებანი ქალებისა უფრო მტკიცე ნიადაგზედ დადგა. მას შემდეგ აგერ უკვე ოცი წელიწადია, რაც უაიომინგის შტატის ქალებს ისეთივე უფლებანი აქვთ მინიჭებული, როგორიც კაცებს.

---

# რუსეთი

1891 წელს, ზაფხულში, გაიმართება დროებითი საპედაგოგიო კურსები პეტერბურგის გუბერნიის სასოფლო სკოლების იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც განსაკუთრებული პედაგოგიური სწავლა-განათლება არ მიუღიათ. ამ კურსების დაარსება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ პეტერგის გუბერნიის სოფლებში ბევრი მასწავლებელია, შესაფერს სწავლა-განათლებას მოკლებული.

— სამკურნალო საბჭომ შინაგან საქმეთა სამინისტროსამ განიხილა და დაამტკიცა სასანიტარო კანონები პანსიონებისა, სასტუმროებისა, ბაკებისა და სხვ. ეს კანონები შეიმუშავა იალტის განყოფილებამ რუსეთის ერის ჯან-მრთელობის მფარველ საზოგადოებისამ.

— რამდენსამე პეტერბურგელს პედაგოგს განზრახვა აქვს, დაარსონ სააქციონეროს მინაგვარი რამ საზოგადოება, სასწავლებლებში სახმარი სახელმძღვანელო წიგნები ჰბეჭდონ და ამ სახით შეძლება მისცენ რუსეთის იმპერიის ყველა სასწავლებლის მოსწავლეებს, რაც შეიძლება იაფ ფასად შეიძინონ ხოლმე საჭირო სახელმძღვანელო წიგნები.

— ყირიმისა, ბესირაბიისა და კავკასიის ვენახების პატრონები შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს ღვინოს იმ ფასისავე ბანდეროლები შემოაკრან ხოლმე, რა ფასისაც არაყისგან გაკეთებულს სასმელებსა აქეთ შემოკრული და ამისთვის დაკანონდეს, რომ საზღვარ-გარეთიდგან ღვინის გამომწერელმა წინადვე შეიტანოს დამოქნაში ბანდეროლებისათვის საჭირო ფული და, როცა ღვინოს მიიღებს და ბანდეროლებს შემოაკრავს, დამოქნამ უკანვე დაუბრუნოს შეტანილი ფული. თუ ღვინის გამომწერელს სიყალბე რამ შეემჩნევა, მაგალითად თუ ღვინოში წყალს გაურევს, მაშინ დამოქნაში შეტანილი ფული აღარ დაუბრუნდება და ჯარიმის მაგიერ დარჩება დამოქნას. ამასთანავე ზემოხსენებული მევენახეები იმის დაკანონებასაც სთხოვენ მთავრობას, რომ რუსეთის იმპერიის ღვინოები, ბუნებითი და შეკეთებულები, მხოლოდ რუსეთის მევენახისა და მექარხნის პატრონების ფირმის სახელით იყიდებოდეს და არა უცხო სახელმწიფოებისათი.

— „Нов. Вр.“-ში მოთხრობილია შემდეგი ამბავი. კაპიტან პ. სტებახოვის ცოლს მომგები ბილეთი ჰქონია. შეუტყვია, რომ 1 სექტემბრის ტირაჟის დროს ამა-და-ამ ნომრის ბილეთს ერგო ოცი-ათას-თუმნიანი მოგებაო, ამოუჭრია თავის ბილეთის ნომერი, იმის მაგიერ ჩაუწერია ის ნომერი, რომელსაც ფული რგებია, დაუჭერია ეს ბილეთი ხელში, მისულა მოსკოველს ვაჭარ ლოჟნევთან და უთქვამს, ფული ძლიერ მჭირს, აი მოგებული ბილეთი და თუ გინდა ნახევარ ფასად მოგყიდიო. ლოჟნევი ვერ მიმხვდარა ეშმაკობას, მოტყუებულა და ათი-ათას თუმნად უყიდნია ეს ყალბი ბილეთი. შემდეგ როცა ლოჟნევს წარუდგენია ბილეთი ფულის მისაღებად, ყველაფერი გამოაშკარავებულა. საწყალი გაქანებულა პოლიციაში, შეუჩივლია, ასე და ასე მომატყუეს და მიშველეთ რამეო. პოლიციაც შესდგომია ძებნას, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. მხოლოდ ეხლა ხან მოსკოვის პოლიციას ამბავი მიჰსვლია, იმ ქალის ამხანაგი და თანამოზიარე, სტებახოვისა, ოდესაში სცხოვრებსო. მოსკოვის პოლიციას ამის გამო ჯეროვანი განკარგულება მოუხდენია და ეს მეორე სტებახოვისა დაპატიმრებულია თურმე ამ ჟამად.

---

# უცხოეთი

ბოლგარია. 14 ოქტომბერს დაიწყო მოქმედება ბოლგარიის საერო კრებამ. კრების წინაშე პრინცმა ფერდინანდმა წარმოსთქვა სიტყვა და პირველად იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ ერი ბოლგარიისა ნდობით ეკიდება იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგია მთავრობაო. ეს გარემოება დამტკიცდა იმით, რომ ერმა აირჩია საერო კრების დეპუტატებად „უკეთესნი და განათლებულნი მოქალაქენიო“. პრინცმა სთქვა შემდეგ, რომ „მეც დავემყარები ერის ნდობას, ერის სურვილსა და კვლავ განვაგრძობ იმ პოლიტიკას, რომელმაც ასეთი კეთილი ნაყოფი მოიტანა ბოლგარიის განთავისუფლებისა და წარმატებისათვისაო“. მერე პრინცმა მოიხსენია, რაც უფრო შესანიშნავი და სასიკეთო გარემოება მოხდა ბოლგარიაში: ბურგასა და იამბოლს შუა რკინის გზამ დაიწყო მუშაობაო, ჯარი და მხედრობა უფრო უკეთ იქმნა მოწყობილი და აღკაზმულ-დარაზმულიო, დასრულდა კვლევა სოფიისა და ტირნოვოს შუა გასაყვანს რკინის გზის შესახებაო, და დასასრულ, სავაჭრო ხელ-შეკრულობა იქმნა დადებული ბოლგარიასა და გერმანიასა, ავსტრიასა, საფრანგეთსა და შვეიცარიას შორისაო. პრინცმა მიაქცია ყურადღება დიდად შესამჩნევს ამბავს წარსულის წლისას ხონთქარის მიერ ბარათების დამტკიცების შესახებ, რომ ბოლგარიის ეპისკოპოსნი იქმნენ დანიშნული მაკედონიაშიო და სთქვა: ეს ამბავი სრული დაკმაყოფილებაა იმ ბოლგართა ფრიად კანონიერის სურვილისა, რომელნიც ჯერ კიდევ ოსმალთა მფლობელობაში იმყოფებიანო. ამასთანავე ეგევე ამბავი ცხადად ამტკიცებს, რა კეთილის გულით ეპყრობა ბოლგარიის ბატონი და მბრძანებელი ბოლგარიის ერსაო. თავისი სიტყვა პრინცმა ასე გაათავა: „წესიერება და მშვიდობიანობა, რომელიც მცირეოდნადაც არ დარღვეულა, რაც ხანს მე სამზღვარ-გარედ ვიმყოფებოდი, ის სიყვარული და პატივის ცემა ბოლგარიის ერისა და მის მტკიცე და საქებურის ყოფა-ქცევისა თავის თვითმმართველობისა და თავისუფლების დამკვიდრების საქმეში — სიყვარული და პატივის ცემა, იქ ჩემ მიერ, ჩემის თვალით ნახული, ცხადად მარწმუნებს, რომ მალე მოვა ის დღეც, როცა საქმე ბოლგარიისა სამუდამოდ გაიმარჯვებს“. პრინცის ლაპარაკს შემდეგ კრებამ აირჩია თავმჯდომარედ წინანდელივე თავმჯდომარე სლავეკოვი; მის ამხანაგებად—სოფიის ქალაქის თავი პეტროვი და ანდრონოვი—ყველა სამნი მომხრენი მთავრობისა. კრებაზე დაესწრნენ პრინცესა კლემენტინა და მინისტრები, მათ შორის ახლად მორჩენილნი: სტამბულოვი და მუტკუროვი. დაესწრნენ აგრეთვე ზოგიერთნი წარმომადგენელნი უმაღლესის სამღვდელოებისანი. რაც ეს პრინცია მთავრად, პირველად მოვიდნენ სამღვდელონი კრებაზე. თავისი სიტყვა პრინცმა ბოლგარიულს ენაზედ წარმოსთქვა.

---

# წვრილი ამბები

ცნობილი მოგზაური პროფესორი ვამბერი შემდეგს საყურადღებო ცნობებსა სწერს იმის შესახებ, თუ როგორა სცხოვრებს ოსმალეთის ახლანდელი სულთანი აბდულ-ჰამიდი. სულთანი 48 წლისაა. ძლიერ ადრე დგება და ცივს წყალში ბანაობს, თუმცა ოსმალები ამას ბარბაროსულ ევროპიულ ჩვეულებად სთვლიან. ბანაობას შემდეგ სასეირნოდ

წავა ხოლმე და 8½ საათზე თავის კაბინეთში მიდის ოსმალურისა და ევროპიულ გაზეთების ამონაჭრების საკითხავად. შინ ყოფნის დროს სულთანს ყოველთვის ევროპიული ტანისამოსი აცვია. სულთანს თავისი მდივანი სურეის ფაშა უკითხავს არზა-ქაღალდებს. სადილზე სტუმრებს ყოველთვის მიართმევენ ხოლმე ღვინოს, ხოლო თვით სულთანს-კი თავის დღეში გემოდაც არ უნახავს არც ერთი მაგარი სასმელი. სუფრის ჭურჭელი თავისთვის ქაშაურისა აქვს და სტუმრებისათვის-კი ოქროსი. სულთანს ძლიერ უყვარს ცხენით სეირნობა, ეტლითა და ჯორით. დიდს ყურადღებას აძლევს თავის შვილების აღზრდა-სწავლასა და ძლიერ უხარიან, რომ იმისმა ქალმა კარგად შეისწავლა მუსიკა. ჰარამხანას სრულიად ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ ერთს ცოლთან არის შეთვისებული, თუმცა კანონი ნებას აძლევს, რომ ოთხი ცოლი მაინც იყოლიოს. როგორც მორწმუნე ისლამისა, სულთანი მიიღებს ხოლმე ყმა-ქალებს საჩუქრად, მაგრამ ახლოს-კი არ ეკარება და არას დროს არა ნახულობს. სულთანს ძლიერ უყვარს ხელოვნება და ქანდაკებათა მუზეუმიც გაიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ყურანი მომაკვდინებელ ცოდვადა სთვლის ქანდაკებების ცქერასაც-კი. აბდულ-ჰამიდი ცნობის მოყვარული კაცია და, თუმცა ოსმალეთის სხვა ბატონის შვილებსავით ცოტა უსწავლია ახალგაზრდობაში, მაგრამ ტახტზედ ასვლას შემდეგ გულმოდგინედ სცდილობს, რომ დანაკლისი სწავლა შეისრულოს.

— მოგეხსენებათ, რომ გერმანიის იმპერატორი ძლიერ ბევრს მოგზაურობს, მაგრამ ნუ გგონიათ, ამ მოგზაურობის დროს იმის მაგიერ სხვანი აწარმოებდნენ სახელმწიფო საქმეებსა და ქაღალდებს. სადაც უნდა იყოს იმპერატორი, ყველაფერს საქმეს უთუოდ იმას უნდა შეეკითხნონ ან დეპეშითა და ან პოჩტით. აღლუმების დროსაც-კი თავს არ ანებებს ხოლმე სახელმწიფო საქმეებს. როდესაც ლიგნიცას მახლობლად აღლუმები იყო 14—20 სექტემბერს, ბერლინიდგან იმპერატორმა 2,149 დეპეშა მიიღო სახელმწიფო საქმეების შესახებ და ყველაზედ ჯეროვანი პასუხი მისცა. როცა სადმე მიყრუებულს ადგილს მიდის მაშინვე საგანგებო ფოსტას გამართავენ ხოლმე დროებით.

# დეპეშა

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. „Journal de St. Pétersbourg“-ი იხსენიებს იმ გარემოებას, რომ მემკვიდრე ცესარევიჩს გულგაშლით მიეგებნენ ვენაში, და ამბობს, რომ ამ ნაირი ამბავი კეთილად იმოქმედებს ამ ორის ერის განწყობილებაზე, სიყვარულს გამოიწვევს მათ შორის და ამ ნაირად ყველასთვის სასურველს მშვიდობიანობის დაურღვევლობას ხელს შეუწყობსო.

გუშინ გარდაიცვალა 95 წლის გენერალ-ადიუტანტი გრაფი ალექსანდრე გრიგოლის ძე სტროგონოვი.

ნებართვა გამოვიდა, რომ 1891 წლიდგან, ვისაც ჰსურს, გამართოს რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში სხვა-და-სხვა სავაჭრო სამრეწველო საწყობები. ამ ნაირას საწყობის გამართვის ნება ადგილობრივმა მთავრობამ უნდა მისცეს ხოლმე.

წარდგენილია დასამტკიცებლად წესდების პროექტი „აღმოსავლეთ-რუსეთის სავაჭრო ამხანაგობისა“, რომელსაც საგნად ექნება გააძლიეროს სავაჭრო აღებ-მიცემა მცირე აზიასთან, სპარსეთთანა და ეგვიპტესთან, ჰგზავნოს ამ ქვეყნებში რუსეთის მანუფაკტურის ნაწარმოები და შემოიტანოს იქიდგან რუსეთში: ზეითუნის ზეთი, ხილეულობა, თამბაქო და სხვ.

საგანგებო კომისიამ, რომელსაც ახალი რკინის გზათა პროექტების განხილვა აქვს მინდობილი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოსკოვიდგან ეკატერინბურგამდე და ორენბურგიდგან ტაშკენტამდე რკინის გზების გაყვანის პროექტებს.

ვენა. შენბრუნში იმპერატორი მიეგება მემკვიდრე ცესარევიჩს. სადილს შემდეგ, რომელიც 58 კაცისათვის იყო მომზადებული, მემკვიდრე ცესარევიჩი გაემგზავრა გოფბურგს, სადაც მერე იმპერატორიც მიბრძანდა და ძვირფასი სტუმარი თეატრში მოიწვია. ოპერას შემდეგ ცესარევიჩი ტრიესტს წავიდა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ოფიციალური დისკონტი აწია 5%-6%-მდე.

27 ოქტომბერი

პეტერბურგი. დეპეშა „Правит. Вѣстникъ“-ისა იუწყება, რომ რუსეთის ესკადრა მემკვიდრე ცესარევიჩითურთ წავიდა პატრასსაო.

ოსტროჟსკის კირილე-მეთოდის ძმობისა და ამ ძმობის გრაფ ბლუდოვის სახელობაზე დაარსებულის სასწავლებლის 25 წლის იუბილეის გამო, გრაფინია ბლუდოვმა მიიღო დეპეშები ხელმწიფე იმპერატრიცისა და მემკვიდრე ცესარევიჩისაგან. მემკვიდრეს დეპეშაში ნათქვამია: ვისურვებ, რომ კეთილი მოღვაწეობა ძმობისა მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად ჩვენის დასავლეთის განაპირა ქვეყნებში უფრო და უფრო გაძლიერდესო. ამასთანავე მისმა უმაღლესობამ გაუგზავნა ძმობას 1000 მანათი.

„Гражданинъ“-ი აცხადებს, რომ გუშინ ჩვენ მიერ ნაუწყები ამბავი გრაფ ა. გ. სტროგანოვის გარდაცვალებისა, მართალი არ არისო.

მოსკოვი. შუა-აზიის გამოფენა მოსკოვში გაიმართება მერმისს თებერვალს. თხოვნას ექსპონატების შესახებ მიიღებენ მხოლოდ ამ წლის 1 დეკემბრამდე.

შანჰაი. თოფის წამლის ქარხანაში თოფის-წამალმა იფეთქა და ქარხანა ჰაერში აიტაცა. დაიღუპა 300 კაცი.

ტრიესტი. მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს მოვიდა ტრიესტს. ვოგზალზე დაუხვდნენ გამგებელი და მთავრობის წარმომადგენელნი. ხალხი დიდის ამბით მიეგება.

ვენა. დალმაციის სეიმმა გადასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ცარის სასწავლებლებში იტალიურის მაგივრად შემოღებულ იქმნას სერბული და ხორვატული ენაო.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომ.

| | მყიდველნი. მან. | კ. | გამყიდველისა. მან. | კ. | გაყიდულისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 59 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 131¾ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 231½ | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 212 | |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | 214 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

მზრუნველი ტფილისის ნერსესიან სომეხთა სასულიერო სასწავლებლის სემინარიისა ამით აცხადებს, რომ 31 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე, გაიცემა იჯარით ახლად აშენებულ სემინარიის ქვემო სართულში ოთხი მაღაზია, რომელიც იმყოფება ალექსანდრეს მესამე ნაწილში ძველს ფოსტის ქუჩაზე. იჯარით აღების მსურველს პირობის შეტყობა შეუძლია სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდამ შუადღის 12 საათამდე. (1—1)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა ჟურნალ „ნობათი“-ს ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიგხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საავთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზის საქმოდ:

## ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—48)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—9)

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს **„დედა ენას“** წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

**„ბუნების კარი“**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა — **ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს — **სამ აბაზად.** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. цен. Тифлисъ, 27-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე